სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 494

(ოქმი № 433)

თბილისი 2020 წლის 16 ნოემბერი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 02.08.2018წ. №425 გადაწყვეტილებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორს მიეცა თანხმობა ტექნიკური გადაიარაღების განხორციელების მიზნით ფინანსური რესურსების მოსაზიდად სესხის აღებასთან დაკავშირებით დაეწყო შესაბამისი პროცედურები და სამეურვეო საბჭოს 31.10.2018წ. №437 გადაწყვეტილების საფუძველზე – გაეფორმებინა შეთანხმება სესხის ძირითად პარამეტრებზე, ხოლო სამეურვეო საბჭოს 01.03.2019წ. №449 გადაწყვეტილების საფუძველზე – აეღო სესხი და ამ მიზნით სს "თიბისი ბანკთან" გაეფორმებინა შესაბამისი ხელშეკრულება,

აღნიშნულიდან გამომდინარე სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 11.11.2020წ. №1996 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალურ დირექტორს სს „თიბისი ბანკიდან":

1.1. მრავალჯერადად აღებულ იქნას სესხ(ებ)ი 45 000 000 (ორმოცდახუთი მილიონი) ლარის (ან მისი ექვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში) ფარგლებში, შემდეგი მიზნობრიობით: კაპიტალური ხარჯების დაფინანსება, კერძოდ მაუწყებლის ტექნიკური გადაიარაღება და ახალი შენობის მშენებლობის დაფინანსება, ან/და მრავალჯერადად აღებულ იქნას 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის (ან მისი ექვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში) ფარგლებში სხვა საკრედიტო პროდუქტები, წინამდებარე გადაწყვეტილების ხელმოწერის დღისათვის უკვე არსებული სასესხო და სხვა საკრედიტო ვალდებულებების გათვალისწინებით და გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულებები, შეთანხმებები ან/და სხვა დოკუმენტები;

2. ბანკიდან მრავალჯერადად აღებული/ასაღები საკრედიტო პროდუქტების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთოს/დაგირავდეს/დაითმოს საზოგადოებრივი მაუწყებლის კუთვნილი ნებისმიერი (მათ შორის სამომავლო) ქონება/არამატერიალური ქონებრივი სიკეთე;

3. მოწონებულ იქნას საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ #0011.0089946.002 ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ყველა ვალდებულება/გაცემული ყველა საკრედიტო პროდუქტი, მათ შორის ამ საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ #0011.0089946.002 ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული #89946-10406564 და #89946-10406565 საბანკო გარანტიის ხელშკრულებები (მათში შესული ცვლილებების გათვალისწინებით), რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული #89946-10406564 და #89946-10406565 საბანკო გარანტიების ხელშეკრულებებით საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებები და ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ აღებული/ასაღები საკრედიტო პროდუქტები უზრუნველყოფილია მხარეებს შორის დადებული N1231232640456 იპოთეკის ხელშეკრულებით (დამოწმების თარიღი 29/03/2019).

4. თანხმობა მიეცეს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს ან მის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ წარმომადგენელს, ხელი მოაწეროს სს „თიბისი ბანკთან" გასაფორმებელ ყველა ხელშეკრულებას, შეთანხმებას, ან/და სხვა დოკუმენტს, რაც საჭიროა

წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული საკითხების შესრულებისათვის, ასევე, მიენიჭოს გენერალურ დირექტორს უფლება, განსაზღვროს ამგვარი ხელშეკრულებების, შეთანხმებების ან/და დოკუმენტ(ებ)ის ნებისმიერი პირობა.

დანართი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 11.11.2020წ. №1996 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

ბონდო მძინარაშვილი

ზაზა აბაშიძე

გრიგოლ მურღულია